Ministry of Internal Affairs of Georgia Patrol Police Department
Digitally signed by Ministry of Internal Affairs of Georgia Patrol Police Department
Date: 2019.02.25 11:25:03 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №64

ხელშეკრულება შედგენილია თბილისში, 2019 წლის 25 თებერვალს, ხოლო ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან მისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონული ტენდერის NAT190002597 საფუძველზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
   1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
   1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
   1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“/„ხელშეკრულების ფასი“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
   1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტები:
   2.1. პრეისკურანტი (დანართ №1).

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

შემსყიდველი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (ს/კ 205041177), საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მიხეილ ამირანაშვილის სახით.

მისამართი: თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38. ტელ: 241 87 13

საბანკო რეკვიზიტები: ა/ა №GE24NB0330100200165022 „საქართველოს სახ. ხაზინა“, კოდი TRESGE22.

მიმწოდებელი: შპს „ჯეოტურანი“; ს/კ: 412670499; ხელმძღვანელი: პაატა რუსაძე

მისამართი: თბილისი, აკ. ბელიაშვილის ქ.132; ტელ: 568 600 308

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“; TBCBGE22; GE60TB7930236020100005

4. ხელშეკრულების საგანი

4.1. საკანალიზაციო რეზერვუარებიდან ფეკალური მასების ამოტუმბვა-გატანის მომსახურება (CPV: 90400000)

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **23 250.00 (ოცდასამი ათას ორას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5.2. გასაწევი მომსახურებების ერთეულის ღირებულებები პოზიციების მიხედვით მითითებულია დანართი №1-ში.

5.3. გასაწევი მომსახურების ღირებულება აღებულია შესაძლო გასაწევი მომსახურების მიხედვით, ხოლო ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოუმუშავებელი თანხა დარჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად **ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** უზრუნველყოს საკანალიზაციო რეზერვუარებიდან ფეკალური მასების ამოტუმბვა-გატანის მომსახურების გაწევა დანართი №1-ში მითითებული პირობების შესაბამისად.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევის პერიოდში გამოყოს ყველა საჭირო ხელსაწყოთი და ტექნიკით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალი, რომელიც დანართი №1-ის შესაბამისად უზრუნველყოფს საკანალიზაციო რეზერვუარებიდან ფეკალური მასების ამოტუმბვა-გატანის მომსახურების გაწევას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს **დანართი №1-ში მითითებული ვადის** განმავლობაში განახორციელოს საკანალიზაციო რეზერვუარებიდან ფეკალური მასების ამოტუმბვა-გატანის მომსახურება ამავე დანართში მოცემული ღირებულებების და ჯერადობების შესაბამისად სრული მოცულობით, ხარისხის და სტანდარტების დაცვით.

6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. გაწეულ მომსახურებაზე მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებულ უნდა იქნეს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა, შესრულებული მომსახურების მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება.

7.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს **შენობათა და მატერიალურ ფასეულობათა ექსპლუატაციის განყოფილება**, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება გაწეულ იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე, აღნიშნული მომსახურების გაწევის პროცესში არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან (იგულისხმება სიტყვიერი შეტყობინებაც) **2 კალენდარული დღის** განმავლობაში.

8.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდში, აგრეთვე საგარანტიო პერიოდში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან\და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **10 საბანკო დღის** განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. 9.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.2 პუნქტში მითითებული განყოფილება.

9.5. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოუმუშავებელი თანხა რჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს რაიმე დამატებით ვალდებულებებს მხარეებს შორის.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და არსებობის შემთხვევაში - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

14.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის **ყოველ კონკრეტულ ფაქტზე** მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა **ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე** ხელშეკრულების ღირებულების 0.25 %-ის ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ხელშეკრულების

15. სხვა პირობები

15.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

15.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.3. თუ რომელიმე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან არაჯეროვნად ასრულებს მათ, მეორე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

15.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.6. ეს ხელშეკრულება დადებულია სატენდერო პირობებითა და გამარჯვებული პრეტენდენტის (ამ ხელშეკრულებით – მიმწოდებლის) ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველის მხრიდან: **მიხეილ ამირანაშვილი**	მიმწოდებლის მხრიდან: **პაატა რუსაძე**

ფასების ცხრილი

დანართი №1

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ერთეულის მაქსიმალური ზღვრული ღირებულებები (ლარი)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულებები (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა და ოპერატიულობა
1	2	3	4	5
1	**ქ. თბილისში. ნოე რამიშვილის ქ. №38-ში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე 8 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	450.00	391.5	ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან (იგულისხმება სიტყვიერი შეტყობინებაც) **2 კალენდარული დღის** განმავლობაში
2	**მარნეულის რაიონში, სოფელ სადახლოში, რკინიგზის სადგურზე** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს სსკგ "სადახლო რკინიგზის" ტერიტორიაზე 12 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	450.00	391.5	
3	**თბილისი–მარნეული–გუგუთის საავტომობილო გზის მე–11 კმ.-ზე** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილების **(თელეთი)** ტერიტორიაზე 14 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	550.00	478.5	
4	**თბილისი–ბაკურციხე–ლაგოდეხის საავტ.გზის 27–ე კმ.-ზე** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო განყოფილების **(გომბორი)** ტერიტორიაზე 42 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	850.00	739.5	
5	**გარდაბანში, რკინიგზის სადგურზე, ხეთაგურის №9-ში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს სსკგ "გარდაბანი რკინიგზის" ტერიტორიაზე 10 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	520.00	452.4	
6	**გარდაბანის რაიონში, სოფელ ვახტანგისში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს სსკგ "ვახტანგისის" ტერიტორიაზე 10 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	430.00	374.1	
7	**მცხეთა–სტეფანწმინდა–ლარსის საავტომობილო გზის 107–ე კმ.-ზე, ყაზბეგის რაიონ სოფელ კობში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო-საპატრულო სამმართველოს კობის საგუშაგოს ტერიტორიაზე 10 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	460.00	400.2	
8	**მცხეთა–სტეფანწმინდა–ლარსის საავტ.გზის 79–ე კმ.-ზე, დუშეთის რაიონში, სოფელ მლეთაში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო-საპატრულო სამმართველოს მლეთის საგუშაგოს ტერიტორიაზე 10 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	460.00	400.2	
9	**თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის მე–300 კმ.-ზე სოფელ თეკლათში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო განყოფილების **(თეკლათი)** ტერიტორიაზე 12 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	450.00	391.5	
10	**თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის 124 კმ.-ზე, სოფელ ოსიაურში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს I სამმართველოს მე-2 სახაზო-საპატრულო განყოფილების ტერიტორიაზე 14 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	520.00	452.4	
11	**გურჯაანის რაიონ სოფელ ჩალაუბანში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო-საპატრულო განყოფილების ტერიტორიაზე 8 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	430.00	374.1	
12	**გომი–საჩხერე–ზესტაფონის საავტომობილო გზის 45 კმ.-ზე, სოფელ გორისაში** მდებარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს I სახაზო-საპატრულო სამმართველოს მე-4 სახაზო-საპატრულო განყოფილების ტერიტორიაზე 10 კუბ. მ. მოცულობის საკანალიზაციო რეზერვუარიდან ფეკალური მასების სრული ამოტუმბვა-გატანის მომსახურება	520.00	452.4	

პრეისკურანტის სავარაუდო საერთო ღირებულება (მაქსიმალური ზღვრული ღირებულებების მიხედვით): **6 090.00 ლარი.**
პრეისკურანტის საერთო ღირებულება (პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასების მიხედვით): **5298.30 ლარი**

შენიშვნა:

1) მე-4 გრაფა ივსება პრეტენდენტის მიერ.
2) პრეტენდენტის მიერ ასევე მითითებულ უნდა იქნეს გასაწევი მომსახურების ჯამური ღირებულებაც.
3) წინამდებარე დანართის შესაბამისად პრეტენდენტის მიერ პოზიციების მიხედვით მითითებულ უნდა იქნეს გასაწევი მომსახურების ღირებულებები, ამასთან, აღნიშნული ღირებულებები არ უნდა აღემატებოდეს ამავე პრეისკურანტში პოზიციების მიხედვით გათვალისწინებულ ერთეულის მაქსიმალურ ზღვრულ ღირებულებებს.

პრეტენდენტის ხელმოწერა **/პაატა რუსაძე/**